



წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ (2021 წელი)

სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 2304
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი:
ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა, 2304

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ საფინანსო ანალიტიკური სამსახური, 204577813

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|-----------------|---|--|---|--------------------------------------|--|---|
| 2304 | პროგრამა: ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა | 6750.00 | 6,750.0 | 6,600.5 | 97.78% | 5,504.7 |

- eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2021 წლისათვის; სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემის მომხმარებლების მხარის დიდი ნაწილი გადაიწერა ახალ ტექნოლოგიაზე და გაიტესტა. დინამიური ანგარიშგების დოკუმენტებში 2020-2021 პერიოდისათვის შეიქმნა ორგანიზაციული კოდების ახალი შაბლონები. ჩატარდა ბიუჯეტის კანონში ცვლილების მოსამზადებელი სამუშაოები. სისტემას დაემატა ახალი პოლიტიკის კავშირის კლასიფიკატორი და ჩაეშვა რეალურ სისტემაში. ჩატარდა 2022 წლის ბიუჯეტების დაგეგმვისთვის საჭირო სამუშაოები. სისტემაში შევიდა 68 შესწორება და



აღმოიფხვრა 38 ხარვეზი.

- eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - გაეშვა აღსრულების ბიუროს, ხაზინის და ეროვნული ბანკის სისტემებში ინკასოს ავტომატური დამუშავების პროცესი. ბექ ოფისის და მხარჯავების პორტალის მხარეს დაემატა ინკასოს ფურცლების ჩანართები და პროცესის ამსახველი ანგარიშგებები. დაემატა მიზნობრი გრანტის საწყისი ნაშთების ავტომატურად დათვლის ფუნქციონალი, CPV კოდების, მივლიბენის დანართების და პაკეტების დამოწმებების გადათვლის პროცედურების გაშვების პანელი, ახალი ვალიდაციები პირველადი დოკუმენტების, ვალდებულებების, ტრანზაქციების მართვის მოდულებში, ხაზინის ბუღალტრული გატარებების გარე სერვისი. შემოსავლების სამსახურის მოთხოვნით ავტომატური გახდა სავალუტო ჩარიცხვების შესახებ და ხაზინას გადამხდელზე დაბრუნებულ თანხების შესახებ ინფორმაციის გადაცემა. შეიცვალა ორგანიზაციების გადახდების დაბლოკვის პროცედურა, გრანტის მუხლის და შემოსავლების სახის ვალიდაციის სქემა, მ.გ. განსაზღვრის ფორმაზე მონაცემების გამოჩენის ლოგიკა, ხაზინის ადმინისტრირების მოდულის საგანგებო ფუნქციონალის ანგარიშების გადათვლის პროცედურა, მხარჯავების პორტალის ანგარიშგებები. დაოპტიმიზირდა წლის მიგრაციის პროცედურა, რომელშიც დაემატა საბანკო დეპოზიტების საწყისი ნაშთების დათვლა, მიზნობრივი გრანტების ხელშეკრულებების საწყისი ნაშთების დათვლა, საკუთარი სასხრების და მიზნობრივი გრანტების გეგმების ქეშის ანგარიშებზე ავტომატურად მიბმა. ასევე დაოპტიმიზირდა რესურსების დათვლის, ვალდებულებების, მოთხოვნების, უწყისების და პაკეტების დამუშავების პროცესები. ცვლილებები შევიდა შესყიდვების სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, ბიუჯეტის სისტემასთან სინქრონიზაციის სერვისებში და ამ სერვისებით მიღებული მონაცემების დამუშავების პროცესებში.
- eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - საგარეო ვალების ნაწილში დაიმპორტდა ჩამორიცხვები 17 პროექტისთვის. ჩატარდა ბიუჯეტის კანონში ცვლილების მოსამზადებელი სამუშაოები. ცვლილებები შევიდა პროექტების ჩამორიცხვების ფუნქციონალში და ვალიდაციებში. საგარეო ვალის საინვესტიციო და ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებში ჩატარდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საჭირო სამუშაოები. სისტემაში შევიდა 33 შესწორება და აღმოიფხვრა 13 ხარვეზი.
- eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - სისტემაში განახლდა შეფასების მოდულის ფუნქციონალი, კერძოდ დაემატა შეფასების განახლებული მეთოდი. განახლდა თანამშრომელთა შეფასების დეტალური რეპორტი, დინამიური რეპორტის პარამეტრები, ადმინისტრატორის და მივლინების ჩანართები, ასევე არყოფნების აღმრიცხველი ტაბელი, თანამშრომელთა “self-service” პორტალი და თანამშრომლების პროფესიული განვითარების ფუნქციონალი. განახლდა საინტეგრაციო სერვისი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,





შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის. სისტემას დაემატა სამუშაო დროის აღრიცხვის ფუნქციონალი. მიმდინარეობს eHRMS სისტემაში ახალი მოთხოვნები/შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები. ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ორგანიზაციების დანერგვა, მომხმარებელთა ტრენინგები და მხარდაჭერა.

- eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - განისაზღვრა 2021 წლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები.
- შესრულდა 2020 წლის ლოგების ჯურნალების მონაცემების გასუფთავება და 2020 წლის ფაილების არქივაცია / NAS (QNAP) საცავში გატანა.
- შესრულებულია და დანერგილია ვადების გენერაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, გადაწერების სქემების რედაქტირება, ვიზირების და ხელმოწერების სქემების რედაქტირება, ფერადი ინდიკაციით ვადების კონტროლის მექანიზმი დეკუმენტების მოდულში, ავტორიზაციის გვერდზე პაროლის მითითებისას ჩართული Caps Lock-ის მინიშნების გამოჩენა, შესრულდა მომზადებული დოკუმენტის თემატიკის და გადაწყვეტის განსაზღვრის შესაძლებლობის რეალიზაცია, და ა.შ.
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის მოთხოვნით, შესრულდა გასული დოკუმენტისა და გასული სამართლებრივი აქტის ასლის გაგზავნა, საჩივრების ხარვეზის დადგენის წერილის, წარმოებაში მიღების წერილის, დასკვნის მომზადების პროცესის გამართვა და საჩივრების განხილვის სისტემასთან ინტეგრაციის რეალიზაცია.
- შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ მოთხოვნის საფუძველზე, შესრულდა eDocument სისტემის და Google Classroom სისტემის ინტეგრაციის პირველი ეტაპის რეალიზაცია და სატესტო გარემოში განთავსება.
- შესრულებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ქეის-მენეჯმენტის სისტემის და eDocument სისტემის ინტეგრაციის სტაბილიზაცია, დამატებითი, ფუნქციონალური მოთხოვნების რეალიზაცია. შესრულდა “Licensee of Federal Express Corporation and TNT“ საფოსტო სერვისის ინტეგრაციის რეალიზაცია და ტესტირება. მიმდინარეობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ERP სისტემის და eDocument სისტემის ინტეგრაციის შესწავლა.
- შესრულებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოლქებში eDocument სისტემის დანერგვა, გამართულია შიდა მიმოწერა და სხვა უწყებებთან ციფრული კორესპონდენციის გაცვლა. eDocument Communicator სერვისში ჩართულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.
- გამართულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეკრულების, ოქმების და მიღება ჩაბარების აქტების მომზადების და აღრიცხვის პროცესი.
- შესრულებულია და ტესტირების პროცესშია eDocument სისტემის მომხმარებლის ნაწილის (პირადი ინფორმაციის მართვა, პირადი კორესპონდენცია, დავალებები,





ვიზირება, ხელმოწერა, მოვლენები და სიახლეები, დოკუმენტების მონიტორინგი) ლოკალიზაცია (ქართული / ინგლისური);

- გამართულია საჯარო სივრცე AdjaraGov ინსტანსისთვის.
- შესრულდა MSDA – სისტემაში ორგანიზაციების მიგრაციის მხარდაჭერა;
- eAuction ელექტრონული აუქციონი - განხორციელდა 49 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის 9 კომპონენტი. სისტემას დაემატა ანგარიშგების სხვადასხვა ფორმა.
- რეალურ გარემოში განთავსდა ახალი ფუნქციონალი - eauction.ge-ის ელექტრონულ მაღაზიაში ნივთების უფასოდ განთავსების შესაძლებლობა, იურიდიული პირებისთვის რომლებიც საქარველოში აწარმოებენ პროდუქციას. სისტემას აგრეთვე დაემატა ახალი მიწოდების სერვისი საქართველოს ფოსტასთან.
- რეალურ გარემოში განთავსდა ახალი ფუნქციონალი, რაც გულისხმობს იურიდიული პირებისთვის, ვაჭრობის პროცესში მონაწილეობის მიღების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.
- განხორციელდა ელექტრონული აუქციონის სისტემის რეფაქტორინგი, ჩატარდა მოცულობითი სამუშაოები, როგორც ფრონტის ასევე ადმინისტრირების ნაწილებში, კერძოდ მოხდა იმ ფუნქციების ოპტიმიზირება, რომლებსაც გავლენა ჰქონდათ სისტემის წარმადობაზე. ამჟამად განხორციელებული ცვლილებები განთავსებულია რეალურ გარემოში.
- განახლდა სერვისი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, რაც გულისხმობდა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მოწოდების უზრუნველყოფას.
- ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა - დამონტაჟდა და გაეშვა ექსპლუატაციაში დამატებით 14 სერვერი არსებულია გამოთვლითი, ჰიპერ-კონვერგენტული პროგრამული აპარატურული კომპლექსში VXRAIL. დამატებითი ნოუდებისათვის ქსელურ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ახალი კავშირების უზრუნველყოფა. ახალ სერვერებზე განხორციელდა ვირტუალური მანქანების მიგრაცია.
- ფინანსთა სამინისტროში განთავსებულ დამატებით WIFI აქსეს პოინტებზე განახლდა ოპერაციული სისტემა და ასევე მათ დაემატა ფუნქცია დომენით ავტორიზაცია.
- ფინანსთა სამინისტროს 6500-მდე მომხმარებლის, საფოსტო ყუთებში არსებული მაილები, მონაცემები, რომელიც შენახულია 2011 წლიდან დაარქივდა და დამიგრირდა ელექტრონული ფოსტის არქივირების და ლოგირების ვირტუალური სისტემაში. განხორციელდა მაილ სერვერის ბაზების შემცირების და ოპტიმიზაციის სამუშაოები. მომხმარებლების კომპიუტერებში რეგიონალურ ოფისებში დაინერგა პერსონალური ფაირვოლი და ასევე დაიბლოკა USB ფლეშ მეხსიერებების წაკითხვის და ჩაწერის შესაძლებლობა. განხორციელდა მონიტორინგისა და ტრაფიკის ლოგირების სისტემის (Solarwinds Monitorin System) და VPN დამშვების სისტემის (ISE) უსაფრთხოების





სერტიფიკატების და ვერსიების განახლება.

- ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ შენობაში დაინერგა ქსელთან წვდომის აუთენტიფიკაციის და ავტორიზაციის პროტოკოლი 802.1x. განხორციელდა აუთენტიფიკაციის და ავტორიზაციის ერთიანი მართვის სისტემის (ISE) და ასევე ქსელური მოწყობილობების და დომენური კომპიუტერებისთვის (Radius) ქსელთან წვდომის წესების კონფიგურირება და AD მომხმარებლებით ავტორიზაციის უზრუნველყოფა. ვიდეო რეგისტრატორების (NVR) კონფიგურაცია ცვლილება და არსებულ ვიდეო კამერებზე IP მისამართების ცვლილება.
- IDS სისტემის ინჰლემენტაცია და მასთან დაკავშირებული ფიზიკურ სერვერებზე ვირტუალური გარემოს მოწყობა-კონფიგურირება, ინციდენტ მენეჯმენტის, ცვლილებების მენეჯმენტის და განახლებების მენეჯმენტის სერვერების ვერსიების განახლება და ინტეგრაცია ერთმანეთთან, ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail და Dell EMC DataDomain DD6300 რეზერვირების დისკური სისტემის პროგრამული კოდის განახლება.
- დაინერგა შემოსავლების სამსახურის ძირითადი Oracle RAC მონაცემთა ბაზის არსებული სისტემის Active-Active გაწევილ კლასტერის გაფართოება დამატებით ორი ბლოკით (Dell EMC XtremIO-2 All Flash). განხორციელდა მონაცემთა შენახვის All Flash სისტემის კონფიგურაცია და არსებულ Dell EMC VPLEX Metro განაწილებულ ვირტუალიზატორთან ინტეგრაცია მონაცემების რეპლიკაციისთვის, ასევე განხორციელდა არსებული მონაცემების (19TB მონაცემთა ბაზა) ონლაინ რეჟიმში სისტემის გათიშვის გარეშე მიგრაცია ახალ მონაცემთა შენახვის All-Flash სისტემაზე;
- დაინერგა ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული ფოსტის ახალი უსაფრთხოების სისტემის Anti-Spam ფილტრაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს სარეკლამო და მავნე ვირუსული ხასიათის შიგთავსის მქონე მიწილების ბლოკირებას და/ან შეტყობინებების გაგზავნას.
- დაინერგა ახალი თაობის NG Firewall 2 (ცალი) ბრენდმაუერი, დამიგრირდა ახალი ოპტიმიზებული კონფიგურაცია ახალ ბრენდმაუერებზე, მოწყობილობები დაინტეგრირდა „Active Directory (AD)“-სთან, განხორციელდა ახალი თაობის ბრენდმაუერის საშუალებით ინტერნეტ ტრაფიკის და კონტენტის ფილტრაციის კონფიგურაცია.
- ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი: მომართვათა საერთო რაოდენობა - 46829; გაწეულია 43925 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument - 22176, eTreasury - 19614, eHRMS - 711, სხვა სისტემები - 1434. ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი მოემსახურა 2894 ტექნიკური გამოძახებას და გასწია შესაბამისი მომსახურება. eDocument სისტემაში მუშაობის სწავლება ჩატარდა 306 მომხმარებელს და Ehrms სისტემაში მუშაობის სწავლება ჩატარდა 163 მომხმარებელს.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, ხორციელდება





გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის (EIMS) რვა პროექტი.

- შემუშავდა, განთავსდა და მხარდაჭერილია 12 სხვადასხვა ვებ-გვერდი, პორტალი და/ან საინფორმაციო პლატფორმა (მათ შორის, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ოთხენოვანი ვებ-გვერდი <https://stopcov.ge/>).

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა;
- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება;
- მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან; უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია; განსაზღვრულია მომხმარებელთა სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი; ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ; უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი:

1.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა და რეალურ გარემოში დაინერგა ბიუჯეტისა და ხაზინის ელექტრონულ სისტემებს შორის გადასახდელების გეგმების, ბლოკირებების, რესურსების მიმოცვლის და ვალიდაციის ოპტიმიზირებული მექანიზმები. ასევე, ბიუჯეტის და ხაზინის ელექტრონული სისტემების შემოსულობების კლასიფიკატორის უნიფიკაციის, ბიუჯეტისა და ვალების მართვის ელექტრონული სისტემების ინტეგრაციის და რიგი სხვა ამოცანები.;



დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არსებული ფუნქციონალის მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავება; სისტემის მოქმედების არეალს „გარეთ“ დარჩენილი საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზება და ახალი მოდულების დამატება; საჯარო ფინანსების მართვის პროცესის მოდერნიზების ფარგლებში სხვა ელექტრონულ სისტემებთან ინტეგრაციის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები - სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემის მომხმარებლების მხარის დიდი ნაწილი გადაიწერა ახალ ტექნოლოგიაზე და გაიტესტა. ჩატარდა ბიუჯეტის კანონში ცვლილების მოსამზადებელი სამუშაოები. სისტემას დაემატა ახალი პოლიტიკის კავშირის კლასიფიკატორი და ჩაეშვა რეალურ სისტემაში.

2.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დამატებული 10 ახალი ფუნქციონალი (დაგროვებითი საპენსიო სქემის ხაზინის ორგანიზაციის თანამშრომლის სტატუსის დადგენა და ხაზინის და საპენსიო სააგენტოს ბაზის მონაცემების ავტომატური სინქრონიზაცია, ხაზინის სისტემიდან საპენსიო ფონდიდან თანხის მობრუნების განაცხადის გაგზავნა და სხვა). გრანტების გადარიცხვების ვალიდაციის შეცვლილი სქემა, ვალდებულების ფორმა, ხელშეკრულების და ვალდებულების დეტალების ვალიდაციები, შემოსავლების კლასიფიკატორების ბუღალტრულ ოპერაციებთან კავშირები, SWIFT ტრანზაქციების დამუშავების ფუნქციონალი, შესყიდვების სააგენტოდან მონაცემების მიღების და მიღებული მონაცემების დამუშავების ლოგიკა. ხაზინის ელექტრონულ სერვისებსა და საფინანსო უწყების პორტალს დამატებული ახალი მეთოდები და ანგარიშგებები. მხარჯავების პორტალის და ხაზინის მოდულების ჩატარებული ოპტიმიზაცია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი ამოცანების შესაბამისად ტექნიკური დავალებ(-ებ)ის შემუშავება. ეროვნულ ბანკთან ინფორმაციის გაცვლის სისტემის დანერგვა. სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება/ახალი მოდულების დამატება.

მიღწეული საბოლოო შედეგები - შემუშავებულია და დანერგილია ხაზინას და ეროვნულ ბანკს შორის საბანკო გადარიცხვების ახალი საინტეგრაციო მოდული. დასრულებულია აღსრულების ბიუროს ხაზინის და ეროვნული ბანკის სისტემებში ინკასოს დამუშავების პროცესის ავტომატიზაცია. ჩატარებულია ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია.

ბექ ოფისის და მხარჯავების პორტალის მხარეს დაემატა ინკასოს ფურცლების ჩანართები და პროცესის ამსახველი ანგარიშგებები. სისტემას დაემატა მიზნობრივი გრანტის საწყისი ნაშთების ავტომატურად დათვლის ფუნქციონალი, CPV კოდების, მივლიბენის დანართების და პაკეტების დამოწმებების გადათვლის პროცედურების გაშვების პანელი, ახალი ვალიდაციები პირველადი დოკუმენტების, ვალდებულებების, ტრანზაქციების მართვის



მოდულებში, ხაზინის ბუღალტრული გატარებების გარე სერვისი. შემოსავლების სამსახურის მოთხოვნით ავტომატური გახდა სავალუტო ჩარიცხვების შესახებ და ხაზინას გადამხდელზე დაბრუნებულ თანხების შესახებ ინფორმაციის გადაცემა. დაოპტიმიზირდა წლის მიგრაციის პროცედურა, რომელშიც დაემატა საბანკო დეპოზიტების საწყისი ნაშთების დათვლა, მიზნობრივი გრანტების ხელშეკრულებების საწყისი ნაშთების დათვლა, საკუთარი სასხრების და მიზნობრივი გრანტების გეგმების ქემის ანგარიშებზე ავტომატურად მიბმა. ცვლილებები შევიდა შესყიდვების სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, ბიუჯეტის სისტემასთან სინქრონიზაციის სერვისებში და ამ სერვისებით მიღებული მონაცემების დამუშავების პროცესებში.

3.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - რეალურ გარემოში დანერგილი ვალების მართვისა და ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემების ინტეგრაციის ამოცანა. მოდიფიცირებული ანგარიშგების დოკუმენტები გამოსყიდული ფასიანი ქაღალდების ასახვის მიზნით. სისტემაში მუშაობის უსაფრთხოების გამკაცრებული მექანიზმები.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ვალების მართვის სფეროში არსებული საფინანსო სისტემების გაერთიანება, ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება/გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები - პროექტების დიდ ნაწილზე განხორციელებულია ჩამორიცხვების სისტემაში ატვირთვა, შესწავლილია ჩამორიცხვების ხაზინის სისტემიდან ავტომატურად შემოტანის ამოცანა. დასრულებულია 3 ახალი ანგარიშგების ინტეგრირება სისტემაში, მიმდინარეობს 4 ახალი ანგარიშგების დოკუმენტის ანალიტიკა.

საგარეო ვალების ნაწილში დაიმპორტდა ჩამორიცხვები 17 პროექტისთვის. ჩატარდა ბიუჯეტის კანონში ცვლილების მოსამზადებელი სამუშაოები. ცვლილებები შევიდა პროექტების ჩამორიცხვების ფუნქციონალში და ვალიდაციებში. საგარეო ვალის საინვესტიციო და ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებში ჩატარდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საჭირო სამუშაოები.

4.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვა 300-ზე მეტ სახელმწიფო ორგანიზაციაში შემუშავებული ახალი ვერსია. დამატებული 10-ზე მეტი ახალი ფუნქციონალი, მოდული და ანგარიშგება. საინტეგრაციო სერვისების დასრულებული პირველი ეტაპი და დაწყებული ინიცირებული მომდევნო ეტაპის ამოცანებს. ინიცირებული ანგარიშგების კონსტრუქტორის ამოცანა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და კარიერის



განვითარების მართვის მოდულების დანერგვა. სხვა სისტემებთან (eDocument, eTreasury) ინტეგრირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები - სისტემაში განახლდა შეფასების მოდულის ფუნქციონალი, კერძოდ დაემატა შეფასების განახლებული მეთოდი. განახლდა თანამშრომელთა შეფასების დეტალური რეპორტი, დინამიური რეპორტის პარამეტრები, ადმინისტრატორის და მივლინების ჩანართები, ასევე არყოფნის აღმრიცხველი ტაბელი, თანამშრომელთა “self-service” პორტალი და თანამშრომლების პროფესიული განვითარების ფუნქციონალი. განახლდა საინტეგრაციო სერვისი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის. სისტემას დაემატა სამუშაო დროის აღრიცხვის ფუნქციონალი.

5.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 70 000-მდე ფიზიკური პირის, 8 300-მდე იურიდიული პირისა და 60-მდე პარტნიორი ორგანიზაციის უზრუნველყოფილი ელექტრონულ ვაჭრობას. ჩატარებული 51 ფუნქციონალური ელემენტის ოპტიმიზაცია. რეალურ გარემოში განთავსებული სისტემის 36 კომპონენტი. დაემატა ანგარიშგებები (დადასტურებული ლოტების ავტომატურად გამოქვეყნება, ქვითრის ბეჭდვა და სხვა). განახლებული მობილურ აპლიკაცია. შეიცვლილი ავტორიზაციის მეთოდი. ძიების გაუმჯობესებული ფუნქციონალი. შიდა სერვისების ჩატარებული ოპტიმიზაცია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან;

მიღწეული საბოლოო შედეგები - რეალურ გარემოში განთავსდა ახალი ფუნქციონალი - eauction.ge-ის ელექტრონულ მაღაზიაში ნივთების უფასოდ განთავსების შესაძლებლობა, იურიდიული პირებისთვის რომლებიც საქართველოში აწარმოებენ პროდუქციას. სისტემას აგრეთვე დაემატა ახალი მიწოდების სერვისი საქართველოს ფოსტასთან.

რეალურ გარემოში განთავსდა ახალი ფუნქციონალი, რაც გულისხმობს იურიდიული პირებისთვის, ვაჭრობის პროცესში მონაწილეობის მიღების შეზღუდვას სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.

განახლდა სერვისი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, რაც გულისხმობდა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის მოწოდების უზრუნველყოფას.

6.



დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 300-ზე სახელმწიფო ორგანიზაციის და 25.000-ზე მეტი მომხმარებლის ელექტრონულად განხორციელებული შიდა და გარე მიმოწერა. შემუშავებული და გავრცელებული სისტემის ახალი ვერსია. ახალი ამოცანების განხორციელება (შტრიხკოდის QR ფორმატი, რეგისტრაციის ინფორმაციის მიღება, კვალიფიციური ქსელური და სხვ.). 2010-2018 წლის ფაილების ჩატარებული არქივაცია და NAS (QNAP) საცავში მიგრაცია. შემუშავებული „მომსახურების დონის შესახებ“ (SLA) დოკუმენტი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალობის შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნებთან; სისტემის ახალი ვერსიის დანერგვა ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში და განვითარება; სხვა საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრაციის უზრუნველყოფა;

მიღწეული საბოლოო შედეგები - შესრულდა 2020 წლის ლოგების ჯურნალების მონაცემების გასუფთავება და 2020 წლის ფაილების არქივაცია / NAS (QNAP) საცავში გატანა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის მოთხოვნით, შესრულდა გასული დოკუმენტისა და გასული სამართლებრივი აქტის ასლის გაგზავნა, საჩივრების ხარვეზის დადგენის წერილის, წარმოებაში მიღების წერილის, დასკვნის მომზადების პროცესის გამართვა და საჩივრების განხილვის სისტემასთან ინტეგრაციის რეალიზაცია.

შესრულებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ქეის-მენეჯმენტის სისტემის და eDocument სისტემის ინტეგრაციის სტაბილიზაცია, დამატებითი, ფუნქციონალური მოთხოვნების რეალიზაცია. შესრულდა “Licensee of Federal Express Corporation and TNT“ საფოსტო სერვისის ინტეგრაციის რეალიზაცია და ტესტირება. მიმდინარეობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ERP სისტემის და eDocument სისტემის ინტეგრაციის შესწავლა.

შესრულებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოლქებში eDocument სისტემის დანერგვა, გამართულია შიდა მიმოწერა და სხვა უწყებებთან ციფრული კორესპონდენციის გაცვლა. eDocument Communicator სერვისში ჩართულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.

გამართულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეკრულების, ოქმების და მიღება ჩაბარების აქტების მომზადების და აღრიცხვის პროცესი.

7.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სისტემას ჰყავს 3900-მდე მომხმარებელი, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის ელექტრონულად დამუშავებას სხვადასხვა მიმართულებით (ხე-ტყის, სახერხი საამქროს, ატმოსფერული ჰაერი). მიმდინარეობს სისტემის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა და ახალი ამოცანების დამუშავება;



დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან; თევზჭერის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება; წყლის სახელმწიფო აღრიცხვის მართვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება;

მიღწეული საბოლოო შედეგები - საინფორმაციო სისტემაში რეალიზებულია ცვლილებები დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად; სისტემის ახალი ვერსია დანერგილია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

8.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილი და მხარდაჭერილი 50-ზე მეტი ვებგვერდი, პორტალი და/ან ელექტრონული სისტემა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ვებ-გვერდების და საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობა ტექნიკური დავალების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან;

მიღწეული საბოლოო შედეგები - შემუშავებული ვებგვერდების შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნებთან.

9.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურის განვითარება და ტექნიკური მხარდაჭერა. დანერგილი ITIL სტანდარტის ცვლილებების მართვის სისტემა მაიკროსოფტის სისტემ-ცენტრის ტექნიკურ პლატფორმაზე. განხორციელებული მონაცემთა შენახვის სისტემის მოცულობის და სიმძლავრის გაზრდა. დანერგილი მონაცემთა ბაზის ოპერირების ახალი ტექნოლოგია. ჩატარებული QNAP სტორიჯის ინსტალაცია. განხორციელებული ტესტირებები ქსელის მდგრადობასა და წარმადობაზე სხვადასხვა კონფიგურაციების პირობებში. მონაცემთა ბაზების (Oracle და SQL) სერვერების სტრუქტურის ჩატარებული ოპტიმიზაცია. ორაკლის მონაცემთა ბაზების მონიტორინგისა და მართვის განახლებული საშუალებები (Oracle Enterprise Manager Cloud Control 13c);

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება და სიმძლავრეების კრიტიკული სისტემების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანა. დანერგილი უსაფრთხოების პოლიტიკა. ბიზნეს-პროცესების განხორციელება ITIL სტანდარტების შესაბამისად.;



მიღწეული საბოლოო შედეგები - დამონტაჟდა და გაეშვა ექსპლუატაციაში დამატებით 14 სერვერი არსებულ გამოთვლითი, ჰიპერ-კონვერგენტული პროგრამული აპარატურული კომპლექსში VXRAIL. დამატებითი ნოუდებისათვის ქსელურ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ახალი კავშირების უზრუნველყოფა. ახალ სერვერებზე განხორციელდა ვირტუალური მანქანების მიგრაცია.

ფინანსთა სამინისტროში განთავსებულ დამატებით WIFI აქსეს პოინტებზე განახლდა ოპერაციული სისტემა და ასევე მათ დაემატა ფუნქცია დომენით ავტორიზაცია.

ფინანსთა სამინისტროს 6500-მდე მომხმარებლის, საფოსტო ყუთებში არსებული მაილები, მონაცემები, რომელიც შენახულია 2011 წლიდან დაარქივდა და დამიგრირდა ელექტრონული ფოსტის არქივირების და ლოგირების ვირტუალური სისტემაში.

დაინერგა შემოსავლების სამსახურის ძირითადი Oracle RAC მონაცემთა ბაზის არსებული სისტემის Active-Active გაწევილი კლასტერის გაფართოება დამატებით ორი ბლოკით (Dell EMC XtremIO-2 All Flash). განახორციელდა მონაცემთა შენახვის All Flash სისტემის კონფიგურაცია და არსებულ Dell EMC VPLEX Metro განაწილებულ ვირტუალიზატორთან ინტეგრაცია მონაცემების რეპლიკაციისთვის, ასევე განახორციელდა არსებული მონაცემების (19TB მონაცემთა ბაზა) ონლაინ რეჟიმში სისტემის გათიშვის გარეშე მიგრაცია ახალ მონაცემთა შენახვის All-Flash სისტემაზე;

დაინერგა ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული ფოსტის ახალი უსაფრთხოების სისტემის Anti-Spam ფილტრაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს სარეკლამო და მავნე ვირუსული ხასიათის შიგთავსის მქონე მეილების ბლოკირებას და/ან შეტყობინებების გაგზავნას.

დაინერგა ახალი თაობის NG Firewall 2 (ცალი) ბრენდმაუერი, დამიგრირდა ახალი ოპტიმიზებული კონფიგურაცია ახალ ბრენდმაუერებზე, მოწყობილობები დაინტეგრირდა „Active Directory (AD)“-სთან, განხორციელდა ახალი თაობის ბრენდმაუერის საშუალებით ინტერნეტ ტრაფიკის და კონტენტის ფილტრაციის კონფიგურაცია.





მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში
სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური - 2304

ათას ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | დაზუსტებული გეგმის შეფარდება დამტკიცებულ გეგმასთან (%) (4/3) | საკასო შესრულების შეფარდება დაზუსტებულ გეგმასთან (%) (5/4) | განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დამტკიცებულ და დაზუსტებულ მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30% | განმარტება იმ პროგრამულ კოდეზზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15% |
|-----------------|--|--------------------|-------------------|------------------|--|--|---|--|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | მხარჯავი დაწესებულების მთლიანი ასიგნებები | | | | | | | |
| 2304 | ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა | 6,750.00 | 6,750.00 | 6,600.5 | 0% | 97,78% | | |

